



პროფესიული მომზადების ცენტრის პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება №

ქ.ბათუმი.

თარიღი -----201-წ.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდგომში – აკადემია), წარმოდგენილი რექტორის - _____ სახით და მეორეს მხრივ ----- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი _____ (შემდგომში- პროფესიული სტუდენტი), ორივე ერთად მხარეები, აკადემიის რექტორის №----- -----.2012წ. ბრძანების, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულებით განისაზღვრება ურთიერთობა აკადემიასა და აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის პროფესიულ სტუდენტს შორის.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

1. აკადემია ვალდებულია:

ა) შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე;

ბ) შექმნას ყველა პირობა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ საგნებში მეცადინეობების მაღალ აკადემიურ და მეთოდურ დონეზე ჩასატარებლად;

გ) განახორციელოს სტუდენტის მომზადება და მისი ცოდნის შეფასება საერთაშორისო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;



დ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტი პრაქტიკით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში;

ე) უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა იმ მატერიალურ ტექნიკურ საშუალებებისა, რომლებიც აუცილებელია სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის (კომპიუტერული ტექნიკა, ბიბლიოთეკა, ტრენაჟორული დანადგარები და სხვა);

ვ) უზრუნველყოს სტუდენტისათვის საჭირო ნორმატიულ დოკუმენტების (საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები, შეფასების სისტემა, აკადემიის შინაგანაწესი, წესდება და სხვა) ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით აღნიშნული დოკუმენტაცია განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკაში, თვალსაჩინო ადგილებზე და პროფესიული მომზადების ცენტრში;

ზ) უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის დისკრიმინაცია რელიგიური, რასობრივი, ნაციონალური, გენდერული და სხვა დისკრიმინაციული მოტივებით;

თ) უზრუნველყოს აკადემიის წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, დამატებითი მეცადინეობების ჩატარება იმ პროფესიული სტუდენტისათვის, რომლებმაც ვერ აითვისეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები;

ი) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემდეგ, გასცეს სტუდენტზე კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დიპლომი და დიპლომის დანართი დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) გაიაროს სემესტრული რეგისტრაცია სემესტრის დაწყებამდე აკადემიის მიერ დადგენილი წესითა და ვადებში;

ბ) შეასრულოს აკადემიის წესდებით, შინაგანაწესით გათვალისწინებული და აკადემიის შიდა რეგულაციებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები, დაემორჩილოს აკადემიის რექტორის, პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის და დაცვის თანამშრომლების მითითებებს.

გ) მოემზადოს პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობებისათვის, დაიცვას აკადემიის ღირსება, გაუფრთხილდეს აკადემიის ქონებას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს აკადემიის სასწავლო საქმიანობაში;

დ) გადაიხადოს სწავლის საფასური წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;



ე) არასრულწლოვნების შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, წარადგინოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – მშობელი, მეურვე ან მზრუნველი, რომელიც აიღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სწავლის ქირის გადახდის თაობაზე;

ვ) აითვისოს საგანმანათლებლო პროგრამით ნორმირებული და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი კრედიტების რაოდენობა;

ზ) გადაიხადოს დამატებითი საფასური (კრედიტების პროპორციულად) აუთვისებელი კრედიტების განმეორებით შესწავლის შემთხვევაში.

3. აკადემია უფლებამოსილია:

ა) გამოიყენოს პროფესიული სტუდენტის მიმართ წახალისების სხვადასხვა ფორმები (მათ შორის გასცეს სტიპენდია), შინაგანაწესისა და სენატის გადაწყვეტილებების საფუძველზე;

ბ) გამოიყენოს სტუდენტის დისციპლინარული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმები აკადემიის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

გ) შეუწყვიტოს ან შეუჩეროს პროფესიულ სტუდენტს პროფესიული სტუდენტის სტატუსი აკადემიის წესდების, შინაგანაწესის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური უკან არ დაუბრუნდება;

დ) შეუწყვიტოს პროფესიული სტუდენტის სტატუსი იმ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისას ვერ დააგროვეს საჭირო კრედიტები, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესით და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ პირობებში;

ე) შეუჩეროს პროფესიულ სტუდენტს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, თუ ის ვერ გადაიხდის შესაბამისი კრედიტების საფასურს ამ ხელშეკრულების მესამე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით.

4. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) ისარგებლოს თანაბარ პირობებში აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესების შესაბამისად;



გ) დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;

ე) მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება ან სხვა სახის შეღავათები სახელმწიფოსაგან, აკადემიისაგან ან სხვა წყაროებიდან, საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის წესდების შესაბამისად;

ვ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა, აკადემიაში დადგენილი პროცედურის შესაბამისად;

ზ) მიიღოს მონაწილეობა აკადემიის მმართველობითი ორგანოების მუშაობაში აკადემიის წესდების შესაბამისად;

თ) პერიოდულად მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების პროცესისა და აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;

ი) მოითხოვოს იმ კურსებისა და მოდულების თავიდან გავლა, რომლებშიც ვერ დააგროვა საჭირო კრედიტები, აკადემიის წესდების, შინაგანაწესისა და აკადემიაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესზე დაშვება და ფინანსური ურთიერთობები

1. სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესზე დაშვების აუცილებელი პირობაა სემესტრული რეგისტრაციის გავლა, რომელიც წარმოებს ყოველი სემესტრის დაწყებამდე აკადემიის შინაგანაწესით დადგენილ ვადებში;

2. სტუდენტთა სემესტრული რეგისტრაციის გასავლელად აუცილებელი პირობაა სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარის წარდგენა პროფესიული მომზადების ცენტრში.

3. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად პროფესიული სტუდენტი აკადემიას ყოველწლიურად გადაუხდის _____ (_____) ლარს;

4. სწავლის წლიური საფასური ჩარიცხულ უნდა იქნას აკადემიის საბანკო ანგარიშზე ორ ეტაპად:



ა) სწავლის წლიური საფასურის 50% საშემოდგომო სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ბ) სწავლის წლიური საფასურის 50% საგაზაფხულო სემესტრის დაწყებამდე 2 კვირით ადრე;

5. სწავლის საფასურის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმებით, რის შესახებაც მხარეთა ინფორმირება უნდა მოხდეს არანაკლებ ერთი კალენდარული თვით ადრე.

6. აკადემიის პროფესიული სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვალდებულია ყოველი სასწავლო სემესტრის შემდეგ დავალიანებული კურსის ან მოდულის განმეორებით გავლისას გადაიხადოს გადასახადი შინაგანაწესით და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული წესით.

7. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

8. სახელმწიფო ვაუჩერის მოპოვების შემთხვევაში, ვაუჩერით გათვალისწინებული თანხის გადახდას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტის პირობები

1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვადის ხანგრძლივობით.

2. სტუდენტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიის რექტორს;

3. აკადემიის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში.

4. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს სემესტრული რეგისტრაციის გაუქმება და მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების უფლებას.



მუხლი 5. სხვა პირობები

1. მხარეთა შორის წამოქმნილი ყველა სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო
აკადემია

რექტორი: -----

ბ.ა.

მისამართი: ბათუმი 6010,

რუსთაველის გამზ. 53;

Website: www.bsma.edu.ge;

E-mail: info.mf@bsma.edu.ge;

ტელ.: (+995 422) 274851.

საბანკო რეკვიზიტები:

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო
აკადემიის საიდენტიფიკაციო კოდი:
245427337;

სააქციო საზოგადოება “ვითიბი ბანკი

ჯორჯია”-ს ბათუმის ფილიალი,

ბანკის კოდი: UGEBGE22,

ა/ა GE86VT 55 000 000 00 493408

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
პროფესიული მომზადების ცენტრის

პროფესიული სტუდენტი:-----

პირადობის

მოწმობის № _____

პირადი № _____

საკონტაქტო

ტელეფონი: _____

(არასრულწლოვნების შემთხვევაში)

მშობელი: -----
